

შპს „ბელკა გეიმზ გე“

შპს „ბელკა გეიმზ გე“

ს ა რ ჩ ე ვ ი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წელი	3
ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება	4
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წელი	6
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილების შესახებ 2024 წელი	7
წლიური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8

შპს ბელკა გეიმზ გე
ფინანსური ანგარიშგება 2024

ციფრები მოცემულია ქართულ ლარში

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2024	2023
ამონაგები	7243197,19	7.732.275
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	-4594,53	-2.080
სამივლინებო ხარჯები		-31.469
საფოსტო ხარჯები		-306
წარმომადგენლობითი ხარჯები		-34.457
რეკლამა და მარკეტინგი	-320	-27.135
შრომის ანაზღაურება	-6095035,07	-6.657.472
საიჯარო ქირა	-392427,52	-123.969
საოფისე ინვენტარი	-7749,2	-4.052
საოფისე ხარჯები	-41012,35663	-5.126
იურიდიული მომსახურება	-47807,54	-30.926
ბუღალტრული მომსახურება	-44480,26	-35.725
აუდიტორული მომსახურება	-11026,27	-10.959
საკონსულტაციო მომსახურება	-5888	-330
ცვეთა	-162928,63	-106.772
ქონების გადასახადი	-1985,42	-3.282
ტრენინგები		-21.256
ნოტარიუსის მომსახურება	-243,92	
საბროკერო მომსახურება		-5.724
თარჯიმნის მომსახურება	-302,27	-530
ბანკის მომსახურების საკომისიო	-3880,52	-5.677
საკანცელარიო	-725,37	-1.338
კომპიუტერის ხარჯები	-117,8	-280
საკომუნიკაციო ხარჯები	-41161,88	-25.094
ზოგადი ხარჯები	-35015,92	-2.850
სხვა ხარჯი	-23809,73	234
დასაბეგრი ხარჯები	-12407,92	-89.340
სხვა შემოსავალი	12347,47	
კურსთაშორის სხვაობა	-62716,43	-129.613
პერიოდის მოგება	259.908	376.745

დირექტორი

ევგენია უროდნიჩ

8 ივლისი, 2025



2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/24	31/12/23
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	646.447	1.130.714
ფინანსური ინსტრუმენტი		
სავაჭრო მოთხოვნები	201.697	5.166
სხვა მოთხოვნები		
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		
მოთხოვნები მენეჯმენტის მიმართ		
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები		
მოკლევადიანი მოთხოვნები საწარმოს პარტნიორების მიმართ		
გადახდილი ავანსები	116.155	74.687
წინასწარ გადახდილი გადასახადები	10.076	
სასაქონლო მარაგები	37.621	58.498
წინასწარ გაწეული ხარჯები		
მისაღები დივიდენდები		
მისაღები პროცენტები		
სხვა მიმდინარე აქტივები	9.364	297
სულ მიმდინარე აქტივები	1.021.360	1.269.362
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	331.071	324.834
ინვესტიციები შვილობილ საწარმოში		
საინვესტიციო ქონება		
არამატერიალური აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
გრძელვადიანი მოთხოვნები საწარმოს პარტნიორების მიმართ		
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		
გადავადებული საგადასახადო აქტივი		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ გრძელვადიანი აქტივები	331.071	324.834
სულ აქტივები	1.352.430	1.594.196
ვალდებულებები და კაპიტალი		
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	8.634	13.339
მიღებული ავანსები		

გადასახდელი ხელფასები	446.014	761.314
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		
მოკლევადიანი სესხები		
საგადასახადო ვალდებულებები		181.669
გადასახდელი პროცენტები		
გადასახდელი დივიდენდები		
ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		
სულ მიმდინარე ვალდებულებები	454.648	956.322
გრძელვადიანი		
ვალდებულებები		
ფინანსური ინსტრუმენტების ვალდებულება		
გრძელვადიანი სესხები		
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		
გადავადებული შემოსავალი		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	454.648	956.322
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	897.783	637.875
მიმდინარე წლის მოგება		
მიმდინარე წლის ზარალი		
დაგროვილი ზარალი		
გადაფასების რეზერვი		
არამაკონტროლებელი წილი		
სულ კაპიტალი	897.783	637.875
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1.352.430	1.594.196

დირექტორი

ევგენია უროდნიჩ

8 ივლისი, 2025



2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2024	2023
კლიენტებისგან მიღებული ფული	7.026.972	7.647.842
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფული	(1.076.140)	(693.563)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფული (ხელფასები)	(5.407.597)	(5.041.195)
გადახდილი გადასახადები	(870.375)	(1.279.820)
ფულის ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(327.140)	633.265
ძირითადი საშუალებების შეძენა	(205.069)	(220.968)
ფულის ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(205.069)	(220.968)
ფულის ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	0	0
ფულის ნაშთი პერიოდის დასაწყისში	1.130.714	816.828
საკურსო სხვაობები	47.942	(98.410)
ფულის ნაშთი პერიოდის ბოლოს	646.447	1.130.714

დირექტორი



ევგენია უროდნიჩ

8 ივლისი, 2025



2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	მიმდინარე წლის მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	-	261.129	261.129
			0
კაპიტალის გაზრდა	-		0
კაპიტალის შემცირება	-		0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	376.745	376.745
			0
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	-	637.875	637.875
			0
კაპიტალის გაზრდა	-		0
კაპიტალის შემცირება	-		0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	259.908	259.908
			0
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	-	897.783	897.783

დირექტორი
8 ივლისი, 2025



ევგენია უროდნიჩ



1. ზოგადი ინფორმაცია

ბელკა გეიმზ გე (შემდგომში "კომპანია") არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) დაფუძნებული საქართველოში 2022 წლის 17 მარტს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის: მერაბ კოსტავას ქუჩა #43ა, თბილისი, საქართველო. საიდენტიფიკაციო ნომერი: 402206796. კომპანიის დირექტორია ევგენია უროდნიჩი. კომპანიის ერთადერთი პარტნიორია (დამფუძნებელი) კვიპროსზე რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბელკა გეიმზ სიუაი (კომპანიის კოდი: HE413231)

შპს ბელკა გეიმზ გეს ძირითადი კომპიუტერული თამაშების განვითარება და მათი საქართველოს ფარგლებს გარეთ რეალიზაცია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

2.1. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად ("ფასს მს").

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის პრინციპის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც შემოსავალი აღიარებულია მისი მიღების მომენტში, ასევე ხარჯებიც აღიარებულია მათი გაწევის მომენტში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს მს-ის შესაბამისად, მოითხოვს კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, მენეჯმენტისგან მოითხოვს სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრისთვის მაქსიმალურად სათანადო განსჯის გამოყენებას. ინფორმაცია იმ სფეროებზე, სადაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში უკვე გაკეთდა მნიშვნელოვანი შეფასებები და განსჯა და მათი გავლენა უკვე ცნობილია, მითითებულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის ნორმალური საქმიანობის ფარგლებში. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგება არ შეიცავს ინფორმაციას იმ აქტივებთან დაკავშირებულ კორექტირებებზე, რომლებიც სავალდებულო იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაირღვეოდა კომპანიის როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, ან კომპანია აქტივებს განკარგავდა მისი ნორმალური საქმიანობის ფარგლებს გარეთ.

სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული მთელი პერიოდის განმავლობაში.

2.2. ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ჩართული ყველა მუხლი იზომება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც ოპერირებს კომპანია („ფუნქციონალური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა.

(ბ) ტრანზაქციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში, ოპერაციის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით.

მოთხოვნები, ვალდებულებები და საბანკო ანგარიშები უცხოურ ვალუტაში, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაანგარიშდება, პერიოდის ბოლო დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით.

კურსთაშორისი მოგება ან ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსები შეადგენდა:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	USD	EUR
გაცვლითი კურსი 31.12.23	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 31.12.24	2.8068	2.9306

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა.

2.3 ამონაგების აღიარება

ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს ნორმალური საქმიანობის პირობებში გაწეული მომსახურებისათვის მისაღებ ღირებულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის პირობების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის გამოკლებით.

2.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია ისტორიული ღირებულებით, შემცირებული ცვეთით და

გაუფასურების ზარალით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ყველა იმ დანახარჯს რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის ტრანსპორტირებასთან და მის მენეჯმენტისთვის სასურველ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

კომპანია ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას ამატებს, გამოყენებული სათადარიგო ნაწილების ღირებულებას, თუ მოსალოდნელია რომ სათადარიგო ნაწილის ჩანაცვლება კომპანიას შემდგომში მოუტანს გაზრდილ სარგებელს. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. პერიოდის ყველა სხვა რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი ჩაირთვება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როცა იქნა გაწეული.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, იმდაგვარად, რომ აქტივების ღირებულება შემცირებული ნარჩენი ღირებულებით განაწილდეს მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შეფასებულია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებები:

საოფისე აღჭურვილობა

3 - 5 წელი

თუ ანგარიშგების ბოლო თარიღის შემდეგ არის მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაშინ აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება პროსპექტიულად.

2.5 არამატერიალური აქტივები

კომპანიას არ გააჩნია არამატერიალური აქტივები.

2.6 საგადასახადო დაბეგვრა

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით იბეგრება განაწილებული მოგება, ის ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ასევე საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სხვა დასაბეგრი ობიექტები.

2.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში, ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს საბანკო ანგარიშებზე.

2.8 თანამშრომლების სარგებელი

თანამშრომლების ყველა მოკლევადიანი სარგებელი აღიარდება იმ პერიოდში როდესაც თანამშრომელი სწევს შესაბამისს მომსახურებას. ანარიცხები თანამშრომლების უფლებაზე მიიღონ ხელფასი და წლიური საშვებულებო ანაზღაურება წარმოადგენს თანხას რომელიც კომპანიას გააჩნია როგორც მიმდინარე ვალდებულება გადაიხადოს თანამშრომლების საანგარიშგებო პერიოდში გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით. ანარიცხების თანხები გაანგარიშებულია მიმდინარე სახელფასო განაკვეთების საფუძველზე, რომლებიც არ არის დისკონტირებული.

3. სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია, მომავალ პერიოდზე აკეთებს გარკვეულ შეფასებებსა და დაშვებებს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და ასევე სხვადასხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში სავარაუდოდ მოსახდენ იმ მოვლენებსაც, რომლებიც ამ ეტაპზე მიიჩნევა მიზანშეწონილად გარემოებებიდან გამომდინარე. მომავალში ფაქტობრივად მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან რისკებს, რომ მოხდეს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირება, განხილულია ქვემოთ.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ფორმირების პროცესშია. კანონმდებლობაში ხშირად შედის ცვლილებები, რომლის დებულებები სხვადასხვა ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. ამჟამინდელი და ასევე ძველი საგადასახადო კანონმდებლობის ბუნდოვანებიდან გამომდინარე, არსებობს გარკვეული საკითხები, რომელზეც, მენეჯმენტის მოსაზრებით, შესაძლებელია საგადასახადო ორგანოს გაუჩნდეს კითხვები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი პოზიციები ამ საკითხებთან დაკავშირებით არის მყარი, შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში გადასახადებთან დაკავშირებული ანარიცხები არ აუსახავს.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შეიცავს დიდ ინფორმაციას „ტრანსფერ ფრაისინგთან“ დაკავშირებით და კოდექსში არის კონკრეტული მუხლები, რომლებიც გამიზნულია ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის ტრანზაქციების დაბეგვრის საკითხების რეგულირებისათვის. საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის, შესაძლოა „გაკონტროლდეს“ საგადასახადო ორგანოს მიერ და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საბაზრო ღირებულების პრინციპი. საგადასახადო ორგანოს შეუძლია, ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის დადებული გარიგებს პირობები შეადაროს, გარიგების იმ პირობებს, რომელიც დადებულია არადამოკიდებულ პირებს შორის და ამის მიხედვით გადაიანგარიშოს შემოსავლები და ხარჯები.

4. ამონაგები

ამონაგები შედგება აიტი მომსახურებისგან და წარდგენილია შემდეგნაირად:

	2024
ამონაგები გაყიდვებიდან	7,243,197
კომპიუტერული თამაშების განვითარება	7,243,197

შემოსავალი აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. ყველა ინვოისი წარდგენილია აშშ. დოლარში და დაკონვერტირებულია ადგილობრივ ვალუტაში (ლარი) ინვოისში მოცემული თარიღის შესაბამისად (საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით).

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 და 2022 წლებისათვის წარდგენილია შემდეგი სახით:

	საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისში	დამატება	გაუფასურე ბა	განკარგვები	ცვეთა	საბალანსო ღირებულებ ა წლის ბოლოს
2024 ძირითადი საშუალებები - საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	324,834	205,069	0	35903	162,929	331,071
2023 ძირითადი საშუალებები - საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	210,732	220,874	0	0	106,772	324,834

6. ფული და ფულის ექვივალენტები

	2024
ფული ლარის ანგარიშებზე ბანკში	1,805
ფული დოლარის ანგარიშზე ბანკში	229,269.18
ფული ევროს ანგარიშზე ბანკში	385.33

7. კაპიტალი

კომპანიას გააჩნია ნულოვანი საწესდებო კაპიტალი.

8. ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როცა კომპანიას აქვს სამართლებრივი, ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მომხდარი მოვლენებიდან გამომდინარე და სავარაუდოა, რომ კომპანიიდან რესურსების გადინება საჭირო იქნება ვალდებულების შესასრულებლად და ვალდებულების ღირებულების განისაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. კომპანიას 2024 წელს არ გააჩნია ანარიცხები.

9. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მენეჯმენტი

საქმიანობის პროცესში კომპანია შემდეგი ფინანსური რისკის წინაშე დგას:

საკრედიტო რისკი

საბაზრო ფასის რისკი

ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც იყენებს კომპანია და რომელთაგანაც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის რისკი, განისაზღვრება შემდეგნაირად:

ფული ბანკში

სავაჭრო ვალდებულებები

საკრედიტო რისკი

კომპანიას საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფულისგან და ფულის ექვივალენტებისგან.

საბაზრო ფასის რისკი

საბაზრო ფასის რისკი შედგება საპროცენტო განაკვეთის რისკისა და სავალუტო გაცვლის კურსის რისკისგან.

ა) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება იქნება ცვალებადი, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გამო.

ბ) სავალუტო გაცვლის კურსის რისკი

სავალუტო გაცვლის კურსის რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანია ჩაერთვება ფუნქციონალური ვალუტისაგან განსხვავებული ვალუტით დენომინირებულ ტრანზაქციებში.

10. ურთიერთდაკავშირებული პირების განმარტება

ურთიერთდაკავშირებულ პირებთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებული პირები წარმოადგენენ:

ა) პირები, რომლებიც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით, აკონტროლებენ ან კონტროლდებიან კომპანიის მიერ, ან და ექვემდებარებიან საერთო კონტროლს კომპანიის (იგულისხმება დამფუძნებელი, შვილობილი და დობილი კომპანიები) მხრიდან; აქვთ ინტერესი კომპანიაში, რაც იწვევს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიაზე, და ახორციელებენ ერთობლივ კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი დამფუძნებლის მენეჯმენტის პერსონალის წევრები;

გ) ოჯახის ახლო წევრი, ა) და ბ) პუნქტებში მითითებული ნებისმიერი პირი;

დ) მხარეები, რომელთაც აკონტროლებენ ერთობლივად, ან და მათზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ, ან და მათ ამორჩევას მნიშვნელოვნად განაპირობებენ ბ) და გ) პუნქტებში მითითებული პირები.

ურთიერთდაკავშირებული პირები, ურთიერთდაკავშირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები და ბალანსები წარდგენილია ქვემოთ:

ურთიერთ დამოკიდებული პირები	ურთიერთობის ფორმა
ევგენია უროდნიჩი	მენეჯმენტის წევრი, დირექტორი
შპს ბელკა გეიმზ სიუაი კვიპროსი კომპანიის კოდი: HE413231	პარტნიორი (100% წილის მფლობელი)
უაბ ბელკა გეიმზ ლტ ლიტვა კომპანიის რეგ. N: 305671967	საერთო კონტროლის კომპანიები

დაკავშირებული მხარეების მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი ტრანზაქციები:

	2024
დირექტორზე გადახდილი ხელფასები	151,521.60
აიტი მომსახურების მიწოდება დამფუძნებელზე	7,243,197
საქონლის შესყიდვა საერთო კონტროლს	22,081.68
დაქვემდებარებული პირისგან	

წლის ბოლოს ნაშთები ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024
სავაჭრო მოთხოვნები დამფუძნებლისგან	201,696.65
სავაჭრო ვალდებულებები ერთობლივ კონტროლს	0
დაქვემდებარებული პირის მიმართ	
დირექტორისათვის გადასახდელი ხელფასი	16,882.80

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი
8 ივლისი, 2025

E. Yef

ევგენია უროდნიჩი

